საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/327 "18" დეკემბერი 2017 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის
მეორე ეტაპზე რ. კაჭკაჭაშვილის დაშვების შესახებ

„მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპზე კანდიდატების დაშვების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 20 ნოემბრის №1/313 გადაწყვეტილებით, მოსამართლეობის შესარჩევ კონკურსზე დარეგისტრირებულ კანდიდატ რევაზ კაჭკაჭაშვილს მიეცა დამატებითი ვადა კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტების წარმოდგენისათვის. რ. კაჭკაჭაშვილმა წარმოადგინა დოკუმენტები სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან, მის მიერ მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების თაობაზე.

„მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/308 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის 12^1 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, რევაზ კაჭკაჭაშვილი დაშვებულ იქნეს 2017 წლის ოქტომბრის თვის მოსამართლეობის შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპზე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი